

დათო ტურაშვიდი

ჩაძირული ქალაქი

ეთნოგრაფიული
რომანი



გაქურ სულაკაურის
გამომცემლობა

საჩუქრად მაკას
გაძლებისა და მოთმინებისათვის

შინაარსი

პროლოგი	9
I ნაწილი	11
თავ(თავ)ი 1 მფრინავი ხალიჩა	13
თავ(თავ)ი 2 მისი ირლანდიელი პაპა	20
თავ(თავ)ი 3 ქეშიშ დარდიმანდი	29
თავ(თავ)ი 4 ხუთშაბათი	36
გრაფი	44
თავ(თავ)ი 5 ჰოროტოტო	49
თავ(თავ)ი 6 სოფო სარაჯისტკა	58
სელიმის პროცესი	67
თავ(თავ)ი 7 გოგირდი	109
II ნაწილი	135
თავ(თავ)ი 8 ოქროს სანძისი	137
გერმანული თავ(თავ)ი	147
იტალიური ოპერა	163
თავ(თავ)ი 9 პაემანი	172
თავ(თავ)ი 10 ნე უეზუაი, გალუბჩიკ მონი	181
თავ(თავ)ი 11 ოკეანე	190
ეპილოგი	201

„ვინ ჩაგიგდებს ამას მწერლობად,
უბრალო ლაყაფიად, იტყვიან...“

შალვა დადიანი

„ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ლაყაფს,
ამ ცუდსა მიდმოდებასა“.

თეიმურაზ 1

შემოკლებათა განმარტება

ავტ. – ავტორი

ი.გ. – იოსებ გრიშაშვილი

პ.ო. – პატრიკ ო'ლირი

პროლოგი

„ვიდრე ამ წიგნს გადავშლიდე,
მინდა ჩემი გული გადავშალო“.

ემილ ზოლა

„თმებზე - იანვარი, გულში - მაისი...“

ჰაინრიხ ჰაინე

მაისში სიზმარი ვნახე – მფრინავ ხალიჩაზე ვიჯექი და ვტიროდი. რა მატირებდა: ზემოდან ისეთი ლამაზი იყო თბილისი, უკითხავად ჩამომიგორდა ცრემლი ჯერ ლოყაზე, მერე ხალიჩაზე და ბოლოს, ის ჩემი ცრემლი მეიდანზე დაეცა, იქვე, მეჩეთის მინარეთთან, და გამიკვირდა. რამ გამაკვირვა: თბილისი იყო ძველი, საუკუნის წინანდელი და მეიდანი კი ისეთი ხალხმრავალი და მხიარული, ზემოდან კიდევ რომ მეყვირა, – ხალხო, რა გახარებთ, მალე ეს ქალაქი დაინგრევა და ჩაიძირება-მეთქი, – მაინც არ დამიჯერებდნენ. მაინც ვიყვირე და გულიანადაც გაეცინათ, მერე ერთხელაც შემოვუფრინე თბილისს და ძილი განვაგრძე.

ივნისში, ერთს ჩვენებურ გაზეთში, ინტერვიუ ნავიკითხე ერთი წყალში მყვინთავისა და მას შემდეგ აღარც დამიძინია. მყვინთავი კაცი ამბობდა: ყველაზე საშიში იმ ადგილებში ჩასვლაა, სადაც მტკვარი ძველი თბილისის უბნებს გაივლის,

რადგან წყლის ქვეშ უბნები, სახლები და ქუჩები ისევე დარჩა, როგორც ჩაძირვამდე, ერთი საუკუნის წინათ იყო. იქ რომ ჩაყვინთავ, შეიძლება, წყალმა პატარა ქუჩებით ისეთ სახლებში შეგიტყუოს, უკან ველარც გამოაღწიო და სამუდამოდ იქ დარჩეო. იქაო, ოთახებიც კი ისევე არის დარჩენილი, როგორც მაშინ, როცა იქ ხალხი ცხოვრობდა და გვეშინია, ძალიან გვეშინიაო.

ივლისში – მეტეხთან იმ ზაფხულს გადაღებული ფოტო ვნახე, როცა წყლის დონემ არნახულად დაიკლო და იმ სახლების კედლები გამოჩნდა, მყვინთავმა რომ ჩაძირული ქალაქი უნოდა.

ავისტოში – თუშეთში ვიყავი, გომენარი ვნახე. სექტემბერში – ლონდონში წავედი. ოქტომბერსა და ნოემბერში ლექციები მქონდა.

დეკემბერში – ბრიტანეთის მუზეუმში იმ მასალებს მივაგენი, მანამდეც რომ ვეძებდი, რადგან გადმოცემით ვიცოდი, რომ 1912 წელს ატლანტის ოკეანეში ჩაძირული გემის მგზავრებს შორის ქართველებიც იყვნენ.

გემს „ტიტანიკი“ ერქვა.

აი, მოვიდა იანვარი და ვწერ.

ვწერ ნიგნს ჩაძირულ გემსა და ჩაძირულ ქალაქზე. როგორც არის.

როგორც იყო.

I ნაწილი

თავ(თავ)ი 1

მფრინავი ხალიჩა

„ისეთი სიტყვა მინდა დავწერო,
შენ რომ გაიგებ...“.

ირაკლი ჩარკვიანი

იყო 1897 წელი, როცა პატრიკ ო'ლირი, ოცდაშვიდი წლისა, ტომით ირლანდიელი, ხელობით მელექსე, ტფილისში ჩამოვიდა. ჩამოვიდა სხვისი, ინგლისური გვარ-სახელით, როგორც გამორიდებული პირი ინგლისის მართლმსაჯულებას იმ ლექსების გამო, ირლანდიაში თავად რომ გაავრცელა ბრიტანული მონარქიის წინააღმდეგ. ჩვენაო, ირლანდიელებიო, – ლექსად ამბობდა, – თავისუფალი ხალხი ვართ და ინგლისური წყობილობა დიალაც არაფერში გვარგიაო. დატუსალებას ერთხელ გადაურჩა, ორჯერ, სამჯერ და როდემდე გაგიმართლებს, აღარა კმარაო? – დედას უთქვამს. ამასაც ბარგი შეუკრავს (პოეტ კაცს რა ძნელად შესაკრავი ბარგი უნდა ჰქონოდა იმ დროში) და რუსეთისკენ წამოსულა. უფიქრია, რუსთ ხელმნიფეს ანგლიჩანები დიდად არ ეხატება გულსაო და ეგებ ხეირიც ვნახოო. პოეტები ყოველთვის მეოცნებე ხალხი იყო, თორემ რუსეთში რა ხეირი უნდა ენახა ირლანდიელ პატრიკ ო'ლირს და კახანს უხეტიალია აღმა-დაღმა. დაღმა, ოდესა-

ში, ერთი ცვანხით, კაცი უნახავს პეშკოვის გვარისა, რუსი. იმას უთქვამს: შენ თუ პოეტი ხარ, მეც წერას ვაპირებ და ტფილისში მივიღივარ, ისეთი ადგილია, კაის დავლევთ და კაის შევჭამთ, წამოდი, ერთად ვიაროთ, ქვეყანა შემოვიაროთო. ნიაზ დიასამიძე იქ სად იქნებოდა, მაგრამ იქა ყოფილა ადესის უნივერსიტეტის კურსოვნიკი ვინმე გოლა ჩიტაძე, ეგ ზამენები რომ ვერ დაეჭირა დროულად, მამამისის ფულიც დაეხარჯა ბოლომდე და ფეხით აპირობდა ტფილისში დაბრუნებას*. წამოსულან სამნი. უვლიათ ვლადიკავკაზამდე და ვლადიკავკაზიდან პატრიკ ო'ლირს ეტლში ადგილი უყიდნია. დილი-ჟანი არა ყოფილა და ეტლით გამოუწევიან საქართველოსკენ. ის რუსი და ის ქართველი ეტლში არასგზით ჩამსხდარან – ფეხით უნდა ჩავალწიოთ ტფილისამდინო. უხვეწნია ამას; არაო, – იმათ. ჰოდა, წამოსულა ეტლით სხვა მგზავრებთან ერთად. ლამისთევით ჩამომდგარა სტეფანწმინდას და მერე გამოუგრძელებია გზა თბილისისკენ. სძინებია სწორედ იმ ტრაქტორში, 1921 წელს რამდენიმე მოხევე რომ გამაგრებულა და დარიალი ჩაუკეტავთ: რუსებს, სანამ შეგვეძლება, შევაჩერებთ, ამასობაში სხვა ქართველებიც შემოგვეშველებიან და გავიმარჯვებთო. სხვა რომ არავინ გამოჩენილა დამხმარე, რამდენიმედღიან ბრძოლაში დაღლილ იმ რამდენიმე მოხევეს სადღეგრძელო უთქვამს საქართველოსი: ჯერ ჩვენ გავვიმარჯვოს, მოხევეებსაო, და მერე იმ დანარჩენ ყარტა-

* როგორც ცნობილია, მაქსიმ გორკი (სინამდვილეში პეშკოვი) მართლა ფეხით ჩამოვიდა საქართველოში, მართლა ვინმე გოლა ჩიტაძესთან ერთად, მაგრამ ეს უკანასკნელი თბილისში მოსვლისთანავე გაქრა და მაქსიმ გორკი დეპოს მუშებმა შეიფარეს ნაძალადევეში. აკი წერს კიდევ მაქსიმ გორკი ადრეულ წერილებში, რომ მუშებმა კი კარგად მიპატრონეს, მაგრამ ნაძალადევის ოღრო-ჩოღრო, დანგრეული და ჭუჭყიანი გზების მსგავსი მთელ რუსეთის იმპერიაში არ მოიძებნება და ალბათ, არც ის კაცი მოიძებნება, ვინც აქაურობას მიხედავსო (რა იცოდა მაქსიმ გორკიმ, რომ ერთი საუკუნის შემდეგ ნაძალადევის რაიონის გამგებლად ნიკო კახეთელიძეს დანიშნავდნენ, რომელიც ნაძალადევის მისადგომებთან ტაშივით გზებს დააგებდა).

ყურტა ქართველებსაო, – დაუღევიათ და დაშლილან. პატრიკ ო'ლირს არა სცოდნოდა, რომ პეტერბურგიდან, სამშობლოს-თან ოთხნლიანი განშორების შემდეგ, შინ მომავალი თავადი ილია ჭავჭავაძე ამავე ადგილას შეჭხვედროდა მოხვეე ლელთ ლუნიას (რომელსაც ეთქვა ის ცნობილი ფრაზა, სკოლაში რომ გვაზეპირებდნენ მონდომებით) და იმ დროისთვის უკვე გარდაცვლილი ლელთ ლუნიას ძებნა არც დაუნყია*. ნამოსულა დედაქალაქისკენ და გზად ანანური ისე მოსწონებია, რომ აღტაცებულს ირლანდიის პოეტს ლექსად გამოუთქვამს თავისი აზრი წერილში, რომელიც სხვა წერილებთან ერთად ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. ჩვენ არ ჩავთვალეთ საჭიროდ თარგმნა ქართულად იმ ლექსისა, რომელზეც მოგახსენებთ, მაგრამ იმ წერილში განსაკუთრებული ყურადღება ერთ დეტალს კი მივაქციეთ: პატრიკ ო'ლირი ანანურს მოიხსენიებს გზიდან მარჯვენა მხარეს მდებარე ულამაზეს სანახაობად, როცა ნებისმიერ თანამედროვე მგზავრს – ყაზბეგიდან თბილისისაკენ მომავალს – იგივე ანანური ამკარად გზის მარცხენა მხარეს შემოხვდება. ჩვენი სიზმრებისაგან ჯვარი გენეროთ, მაგრამ ფაქტია, რომ იქაც, ანანურთან, სადაც ირლანდიელმა გამოიარა, ჩაძირული ქალაქია – უძველესი ჟინვანი. ჩაძირვამდე გზა ქვემოთ გადიოდა, ხეობაში, და ანანური, მთელის თავისის დიდებულებით, ზემოდან დაჰყურებდა გზას. ჩვენი სიზმრები თუ საეჭვოა, წერილები ხომ უტყუარი საბუთებია ჩაძირული წარსულისა და მათი დახვეის უფლებას ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში, არავინ მოგვცემს. თუმცა ასლების გადაღების უფლება სულგრძელად დამრთეს და ჩვიდმეტივე წერილი მივაქსეროქსე. ზემოთ ხსე-

* თუმცა, თედო სახოკია (რომელმაც ხევი XX საუკუნის დასაწყისში მოიარა) ირწმუნებოდა, რომ სწორედ იმ ღრმად მოხუცებულ მოხვეეს ესაუბრა, რომელიც ილიას შეხვდა სტეფანწმინდაში და რომელთან საუბარიც აღწერა თავადმა „მგზავრის წერილებში“. ე.ი. მაშინაც, 1897 წელს ლელთ ლუნია ცოცხალი იყო და პატრიკ ო'ლირს მისი ნახვა შეეძლო კიდევ.

ნებული წერილი, ანანურით მოხიზვლისა, გახლავთ პირველი უსტარი პატრიკ ო'ლირისა, გაგზავნილი საქართველოდან ირლანდიის მიმართულებით. ადრესატები წერილებისა ძირითადად არიან ო'ლირის ოჯახის წევრები, მაგრამ სავარაუდოა, ამ ეპისტოლარიზმს, გარდა მოკითხვისა, სხვა მიზანიც ჰქონდა: ალბათ, ირლანდიელი პოეტი სამომავლოდ წიგნის დაწერას თუ აპირებდა თბილისის შესახებ – მაშ, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ზოგიერთი წერილი თხუთმეტ ფურცელსაც კი მოიცავს, ჩვენი ქალაქის მაშინდელი ცხოვრებიდან ისეთი დეტალების აღწერით, რომელთა უმრავლესი ნაწილი ძნელად თუ დააინტერესებდა პატრიკ ო'ლირის ირლანდიელ, თუნდაც უახლოეს ნათესავებს? რომც არ ჰქონოდა იმ ირლანდიელს სურვილი ტფილისზედ წიგნის დაწერისა, ჩვენ მაინც ისე გამოგვდის, რომ ქვემოთ რა ამბებსაც მოვეყვებით ძველი ქალაქისა, იმის წერილებში გვაქვს დასწავლილი და ამოკითხული. და რომ მოგონილი არ არის ჩვენ მიერ ესე ამბავი ირლანდიური (და ქართულად ნათარგმანები), დასტურ ამისა, ამოვბეჭდავთ ხოლმე იმ წერილებიდან ზოგიერთ ადგილს და უცვლელად მოგართმევთ წასაკითხად. მაშინ კი ალბათ უფრო იოლად დაიჯერებთ, რომ ასეთი ქალაქი მართლა არსებობდა – ტფილისი რომ ერქვა და ნახვად დიალაც ღირდა. რაც ნახა ტფილისში პატრიკ ო'ლირმა, ისეთი მონდომებით მისწერა მშობლებს, რომ ლონდონში ერთი გზობა ისიც კი ვიფიქრე, ემანდ სხვა მიზნით ხომ არ შემოგვიგზავნეს-მეთქი, მაგრამ მოგეხსენებათ, შპიონობაზე დიდი ცოდვა შპიონობის დაბრალებაა ვინმესთვის და მითუმეტეს, საკუთარი წიგნის მთავარ გმირს ასეთ უშნო ხუმრობას ვერ ვაკადრებდი.

ტფილისში ჩამოსულ პატრიკ ო'ლირს ახალი სამოსის თადარიგი დაუჭერია იმთავითვე და სასტუმროში* პირვე-

* ირლანდიელი პოეტი გაჩერდა სასტუმრო „ლონდონში“. შესაძლებელია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხსენებულ სასტუმროში კარგი ოთახები ჰქონდათ,

ლივე დღეს მიუსწავლებიათ მკერავი ცერაძე*, რომელსაც იმხანად სტუდია ჰქონდა გახსნილი გოლოვინსკზედ. მაგრამაო, – იქვე უთქვამთ, – თუ ფულს არ დაიზარებთ და ჩვენებურს ჩოხას შეიკერამთ, საუკეთესო დერციკს არაევრაპიისკი კასტუმებისას, აქვე მოგვვრით ემავე საათშიო. მოუყვანიათ იმჟამინდელს ტფილისში საუკეთესო თერძი – ტიგრან სირეკანაშვილი, რომელიც კუზიანი, ძალზედ ტანდაბალი კაცი იყო და რადგან მუშტარს წელამდე ძლივს სწვდებოდა, როგორც წესი, თავის კლიენტს ძირს დააწვენდა ხოლმე და ეგრე ზომავდა. ჩვენი პატრიკისტვის რომ უთქვამს (და მერე ხელითაც უნიშნებია) ტიგრან სირეკანაშვილს, იატაკზე დაწეკო, ირლანდიელ პოეტს შეშინებული თვალები ჯერ თავად თერძისტვის მიუბჯენია და მერე იმ ხელის ბიჭისტვის, კარებთან რომ მდგარა. თვითონ პატრიკ ო'ლირი ძალიან სასაცილოდ აღწერს ამ სიტუაციას თავის ერთერთ წერილში და ხუმრობს კიდევ, ჩვენი საწყალი უაილდი გამახსენდა**. დერციკსა და ხელის ბიჭსაც ბევრი უცინიათ,

არამედ იმის ხაზგასასმელადაც, რომ ინგლისელი გახლდათ. უფრო სწორად, ყალბი ინგლისური პასპორტი ჰქონდა ინგლისური გვარ-სახელით.

* მკერავი ცერაძე რომ ნამდვილად ცხოვრობდა ძველ თბილისში, ამას ადასტურებს იოსებ გრიშაშვილის უკმაყოფილო ლექსიც, გამოთქმული ცერაძის მისამართით:

„ჩაგიხელებ ხარფუხში ან ვერაზე,
იმდენს გირტყამ, გადახვიდე მღერაზე“.

ქართველი პოეტის უკმაყოფილება გამონევეული იყო იმით, რომ ცერაძემ მას შეუკერა შარვალი, რომელსაც ერთი ტოტი აშკარად მოკლე ჰქონდა მეორესთან შედარებით, იოსებ გრიშაშვილი კი მოერიდა მის გალახვას გოლოვინსკის პროსპექტზე. ხელსაყრელ შემთხვევას მშობლიურ ხარფუხში ან სადმე ქალაქგარეთ ელოდებოდა, თუნდაც ვერაზე, რომელსაც მაშინ გარეთუბანსაც უწოდებდნენ.

** იგულისხმება ოსკარ უაილდი, რომელსაც ინგლისის სასამართლომ ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, სულ ცოტა ხანში პატრიკ ო'ლირის საქართველოში ჩამოსვლიდან. როგორც ჩანს, ის დაუთარილებელი წერილი, სადაც ტიგრან სირეკანაშვილის ტანმოკლეობაა აღწერილი, გვიანდელია, რასაც მოწმობს ოსკარ უაილდის სინანულით გახსენება.

ნურაფრის შეგეშინდებათ, ისეთი ხალხი მყავს ამ საქმისთვის ძირს გაშხლართული, რომ თქვენი მონონებულო და უცხოელი პოეტი დაუმშვიდებიათ. თქვენაო, – ტიგრანს უთქვამს, – შვინდისფერი ჩოხა დაგამშვენებთ, თმაში შვინდისფერი გირევიათ, შალვა ახალციხელი კი შავგვრემანი კაცი იყო, შავი ჩოხა უხდებოდაო. პატრიკ ო'ლირს ვერაფერი გაუგია, მაგრამ გალიმებია (ალბათ, ზრდილობის ნიშნად). დერციკ სირეკანაშვილს კი იქვე რჩევა მიუცია სტუმრისთვის, – გოგებაშვილის წიგნს თუ შეიძინებ, მალე ქართულსაც ისწავლით და ჩემი შეკერილი ჩოხა კიდევ უფრო დაგამშვენებთო. პატრიკ ო'ლირი წერს: ქართულის სწავლას მე უფრო ნაკლები დრო მოვანდომე, ვიდრე იმ დერციკმა ტიგრანმა – ჩოხის შეკერვასო, და ალბათ ხუმრობს. თუმცა ერთი წლის შემდეგ, როცა ირლანდიელი პოეტი ილია ჭავჭავაძემ საგურამოში ილიაობაზე მიიწვია და მისი სადღეგრძელო წარმთქვა, თავადს არც იმის ხაზგასმა დაეინყებია, რომ იგი აღტაცებულია პატრიკ ო'ლირის ქართულით და გაკვირვებულია, თუ როგორ შეძლო უცხო ტომის შვილმა სულ რაღაც ერთ წელიწადში ასეთი წარმატების მიღწევა. ილიას ჰქონდა უორდროპის მაგალითი, მაგრამ უორდროპმა ქართულის შესწავლას რამდენიმე წელიწადი მოანდომა. პატრიკ ო'ლირს ახალი ჩაკბეჩილი ჰქონდა თურმე ანჟუის კრასავიცა*, როცა თავადი მიუახლოვდა. მან ლუკმა გადაყლაპა და ილიას უპასუხა:

– თქვენი მშვენიერი ენა იმსახურებს იმას, რომ ყოველი უცხოელი, ვისაც აქ ცხოვრება აქვს გადაწყვეტილი, სწავლობდეს მას.

– მაშ, აქ აპირებთ დარჩენას? – გაიკვირა თავადმა.

– თუ სამუდამოდ არა, რამდენიმე წელიწადს აქ დავრჩები,

* ანჟუის კრასავიცას უწოდებდნენ მსხალს, რომლის შესახებ ამაზე მეტი ჩვენც არა ვიცით რა.

მინდა უკეთ შევისწავლო თქვენი ლიტერატურა და განსაკუთრებით კი თქვენი შესანიშნავი პოეზია.

– ინგლისელისაგან ამის მოსმენა განსაკუთრებით ახარებს ჩემს გულს, – თქვა ილიამ და პატრიკ ო’ლირმა წამით დააპირა კიდევ იმ საიდუმლოს განდობა, ინგლისელი კი არა, ირლანდიელი რომ გახლდათ იგი, მაგრამ აღარ დასცალდა. თავადის მეუღლემ, კნენა ოლლამ, ღიმილით მიმართა ილიას: რად დასდგომიხარ ამ სტუმარ კაცს თავზე ასასივით და ჭამას არ აცლიო (საინტერესოა, რომ ზუსტად ასეთი ფრაზით მომმართა 1999 წლის 21 აგვისტოს სოფელ კვარიათის პლაჟზე ნინია კაკაბაძემ, როცა მას, ზღვის ნაპირზე მჯდომარეს, მივუახლოვდი და გამაკვირვა იმ ფაქტმა, რომ გერმანელ ტანტე ნინას აღზრდილ ნინია კაკაბაძეს საიდან უნდა სცოდნოდა ეს სიტყვა, რომელსაც ერთი საუკუნის წინათ ხმარობდნენ ქართველები ღამის დარაჯის მნიშვნელობით* . უცნაური იყო, მეტად უცნაური).

პატრიკ ო’ლირს მადლობა უთქვამს ოლლა გურამიშვილისათვის ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, – უკვე გეახელითო, – მაგრამ ილიასთან საუბარი აღარ გაუგრძელდება. მხოლოდ ეს უკითხავს თავადისთვის, მართალია თუ არა, რომ ძველ თბილისში მფრინავ ხალიჩას მალავენო. ილიას გაეღიმა და კი არ უპასუხნია – არც ჰო უთქვამს და არც არა.

* სიტყვა ას-ასი სხვა მნიშვნელობითაც იხმარება. – ავტ.